ევროკავშირი
საქართველოსთვის

ეს წალკაა
EMBRACETsalka

CENN
Shaping the Future by Changing Today



# ეს წალკაა

## მეწარმეები წალკის მუნიციპალიტეტიდან

# EMBRACE TSALKA

## Entrepreneurs from Tsalka Municipality

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

ifls
Institut für Ländliche Strukturforschung
an der Johann Wolfgang Goethe-Universität Frankfurt am Main

# ეს წალკაა

მეწარმეები წალკის მუნიციპალიტეტიდან

ალმოაჩინე წალკის ტურისტული, კულტურული და ეკონომიკური პოტენციალი

# EMBRACE TSALKA

Entrepreneurs from Tsalka Municipality

Discover the Touristic, Cultural, and Economic Potential of Tsalka

მთავარი ფოტოგრაფი: გიორგი ნასრაშვილი

Primary photographer: Giorgi Nasrashvili

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CENN და, შესაძლოა, რომ ის არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

This publication has been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of CENN and do not necessarily reflect the views of the European Union.

თბილისი, 2022

Tbilisi, 2022

# ეს წალკაა - პროექტის შესახებ

ევროკავშირის ENPARD პროგრამის მხარდაჭერილი პროექტი „ეს წალკაა -ადგილობრივი ლიდერები მდგრადი განვითარებისათვის წალკის მრავალეთნიკურ მუნიციპალიტეტში” 2019-2022 წლებში განხორციელდა CENN-ის მიერ, პარტნიორ ორგანიზაციებთან - საქართველოს ფერმერთა ასოციაციასა (GFA) და სოფლის განვითარების კვლევითი ინსტიტუტთან (Ifls) - ერთად.

პროექტის მიზანი წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება, სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა იყო. პროექტის ამოცანებს წარმოადგენდა წალკის მუნიციპალიტეტში სიღარიბის დონის შემცირება და მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში არსებული ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევების გადაჭრა სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის გაზრდით, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა და კლიმატისადმი მედეგი სოფლის ეკონომიკის მხარდაჭერა.

ცოდნაზე, ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, ბიზნესკავშირების დამყარებითა და სამუშაო ადგილების შექმნის გზით პროექტმა გააძლიერა საოჯახო მეურნეობები, ხელი შეუწყო მეწარმეებს თავიანთ საქმიანობაში, ქალებისა და ახალგაზრდების დასაქმებაში და დაეხმარა სხვა ადგილობრივ ჯგუფებს.

# EMBRACE TSALKA - ABOUT THE PROJECT

The EU supported project Embrace Tsalka: Local LEADERs Embrace Sustainable Development in Multi-Ethnic Tsalka Municipality was implemented within the EU ENPARD programme from 2019 to 2022 by CENN in partnership with the Georgian Farmers Association (GFA) and the Institute for Rural Development Research (IfLS).

The aim of the project was to improve social integration and access to basic social services, and to create new economic opportunities for the local population in Tsalka municipality.

The goal of the project was to reduce rural poverty and improve living conditions in Tsalka municipality, address economic, social, and environmental concerns by improving agricultural competitiveness, promote sustainable management of natural resources, and build climate-resilient rural economies and communities.

The project provided support to smallholders, entrepreneurs, women, youth, and other local actors by improving access to knowledge, innovation, and new technologies.

## წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის შესახებ

პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG), რომელიც წარმოადგენს ადგილობრივ აქტიურ მოქალაქეთა გაერთიანებას და მუშაობს სოფლის განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაზე. აგრეთვე, იღებს გადაწყვეტილებას ადგილობრივი ფინანსური რესურსების განაწილებისა და მართვის შესახებ.

ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფში მონაწილეობას იღებენ როგორც საჯარო და კერძო სექტორების, ისე სხვა, ადგილობრივი, ჯგუფების წარმომადგენლები (წევრთა შესაბამისი თანაფარდობით); მათ შორის: ფერმერები, მეწარმეები, სათემო ორგანიზაციები, ადგილობრივი მცხოვრებლები, სერვისების მიმწოდებლები, მედიაორგანიზაციები, ქალთა გაერთიანებები, ახალგაზრდები, შშმპ და სხვ.

ჯგუფის წევრობა შეუძლია ნებისმიერ მსურველს, რომელიც დაინტერესებულია წალკის მუნიციპალიტეტის განვითარების საკითხებით.

## ABOUT TSALKA LOCAL ACTION GROUP

The project established a Local Action Group (LAG) which represents a union of active citizens that identifies and implements local development strategy. The group makes decisions about the distribution and management of local financial resources.

The group is composed of representatives of both public and private sectors as well as other local groups (with a corresponding ratio of members) among which are: farmers, entrepreneurs, community organisations, local residents, service providers, media organisations, women's associations, youth, persons with disabilities, and others.

Anyone interested in issues related to the development of Tsalka municipality can become a member of the Local Action Group.



# სარჩევი

ფაქტები და მონაცემები ........ 6
ტურიზმი ........ 10
სოფლის მეურნეობა ........ 56
წარმოება ........ 82
მომსახურება ........ 128
განათლება, კულტურა, სპორტი და ჯანდაცვა ........ 162

# TABLE OF CONTENTS

FACTS AND FIGURES ........ 6
TOURISM ........ 10
AGRICULTURE ........ 56
PRODUCTION ........ 82
SERVICE ........ 128
EDUCATION, CULTURE, SPORTS AND HEALTHCARE ........ 162

დაფინანსებული პროექტების რუკა

MAP OF THE FUNDED PROJECTS



# ფაქტები და მონაცემები წალკის შესახებ

| | |
|---|---|
| **ფართობი:** | **1050.6 კმ²** |
| **მოსახლეობა:** | **18 849** |

წალკის მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლში მდებარეობს, ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულიდან მთიანეთის მშრალ კლიმატზე გარდამავალი კლიმატის არეალში. მისი მაღლობები საძოვრებით არის დაფარული, ხოლო დაბლობი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება.

მუნიციპალიტეტი ეთნიკურად მრავალფეროვანია. მოსახლეობის თითქმის ნახევარი ეთნიკური ქართველია, მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს კი სომხები, აზერბაიჯანელები და ბერძნები შეადგენენ.

წალკის მუნიციპალიტეტი საკმაოდ მდიდარია კულტურული და ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებით მისი ისტორიული მემკვიდრეობა წარმოდგენილია ეკლესიებით, ტაძრებით, მეგალითური ციხეებითა და არქეოლოგიური სამარხებით. წალკის მუნიციპალიტეტი მდიდარია ისეთი რესურსებით, როგორებიცაა პერლიტის, ობსიდიანისა და პემზის მარაგები და სამშენებლო ქვიშა.

წალკის მუნიციპალიტეტის სტუმრებს დახვდებათ ულამაზესი ხედები, ციხესიმაგრეების ნანგრევები, გამოქვაბულები, მონოლითური ქვები, შუა საუკუნეების ხიდები, ყორღანები და სხვ.

# FACTS AND FIGURES ABOUT TSALKA

| | |
|---|---|
| **Area:** | **1050.6 km²** |
| **Population:** | **18 849** |

The Tsalka municipality is in the region of Kvemo Kartli. The municipality is located in the transitional zone between moderately humid subtropical climates and dry highland climates. Much of the municipality highlands are used for pastureland, whereas the lowlands are occupied by agricultural land.

The municipality is ethnically diverse. Almost half of the population are ethnic Georgians, while the remainder consists of Armenians, Azerbaijanis, and Greeks. This aspect gives the Tsalka municipality a distinctive cultural and social character.

The Tsalka municipality is quite rich in monuments of both great historical and cultural significance. Its historical heritage is evidenced by the presence of churches, temples, megalithic castles, and archaeological tombs. The Tsalka municipality is rich in resources, such as perlite, obsidian, pumice deposits, and sands used for construction.

Those visiting Tsalka municipality will be greeted with beautiful views, fortresses, caves, monolithic stones, medieval bridges, and many other attractions.

## პაველ ჰერჩინსკი

### ევროკავშირის ელჩი საქართველოში

„ეს წალკაა“ - ძალიან წარმატებული ინიციატივა იყო და მოცემული კატალოგი კარგი შესაძლებლობაა, ჩვენს პარტნიორებთან ერთად, საერთო ჯამში მიღწეული შედეგების საჩვენებლად. ევროკავშირი ჩვენი ENPARD-ის გრძელვადიანი პროგრამის მეშვეობით მუშაობს თემებთან სოფლად უკეთესი ცხოვრებისთვის, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების შესაძლებლობებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების გზით. წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის შექმნა, ითვალისწინებდა მუშაობას ფერმერებთან ერთად მოსავლიანობის გაზრდას, მეწარმეებთან ერთად - მათი ბიზნესების ამოქმედებას, და სხვა ადგილობრივ აქტორებთან - მათი იდეების განხორციელებას ადგილობრივი თემების სასარგებლოდ. ჩვენი ერთობლივი წარმატება მოგვცემს იმედს, რომ LAG განაგრძობს თავის შესანიშნავ მუშაობას წალკაში და იქნება კარგი მაგალითი საქართველოს სხვა თემებისათვის,”

## ნანა ჯანაშია

### CENN-ის აღმასრულებელი დირექტორი

წალკა ერთ-ერთი იმ მუნიციპალიტეტთაგანია, რომელიც ნაკლებად არის ცნობილი, მაგრამ მას დიდი პოტენციალი აქვს მრავალი კუთხით. წალკა გამოირჩევა კულტურული, ბუნებრივი და ისტორიული მახასიათებლების უნიკალური ნაზავით. წალკის ერთ-ერთი ყველაზე მომხიბვლელი ასპექტი მისი მრავალფეროვანი კულტურული სახეა. მუნიციპალიტეტში ცხოვრობს რამდენიმე ეთნიკური ჯგუფი, მათ შორის, ქართველები, აზერბაიჯანელები და სომხები. ეს ქმნის ტრადიციების, ენებისა და წეს-ჩვეულებების უნიკალურ მრავალფეროვნებას.

წალკა იზიდავს მნახველებს მთელი მსოფლიოდან ბუნების სილამაზითა და მრავალფეროვნებით. წალკას აქვს მდიდარი ისტორია, გამოირჩევა ისტორიული ძეგლებით და მნახველს სთავაზობს კულტურული მრავალფეროვნების, ბუნებრივი სილამაზის, ისტორიული მნიშვნელობისა და გემრიელი სამზარეულოს უნიკალურ პალიტრას.

ჩვენი პროექტი ‘ეს წალკაა’ მიზნად ისახავდა მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების წარმოჩენასა და მის ჩართვას ქვეყნის განვითარების პროცესში. პროექტმა წარმატებით შეუწყო ხელი სოფლის ინკლუზიურ განვითარებასა და სოფლის კეთილდღეობის გაუმჯობესებას ინოვაციური მიდგომების ინტეგრირების გზით, რამაც შექმნადასაქმების მრავალფეროვანი შესაძლებლობები. პროექტმა ხელი შეუწყო კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობისა და რესურსების მართვის პრაქტიკის დანერგვას, ბუნებრივი რესურსების ინგეტრირებული მართვის განვითარებასა და, ზოგადად, გარემოსდაცვით მიმართულებებს.

CENN მოხარულია, რომ მხარი დაუჭირა გარემოსადმი მეგობრულ და კლიმატის მიმართ მდგრად ინიციატივებს წალკაში, რის შედეგადაც წარმატებით დაარსდა და გააძლიერა 50-ზე მეტი ადგილობრივი ბიზნესი და მეწარმე.

ოთხი წლის განმავლობაში ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანით და ამ კატალოგით გვსურს, წარმოგიდგინოთ მათ მიერ ინიცირებული სხვადასხვა ბიზნესი და პროექტი.



## PAWEL HERCZYNSKI

### Ambassador of the European Union to Georgia

‘The Embrace Tsalka initiative has been a great success and this catalogue is actually a good opportunity to prove this and visibly show what we have achieved altogether with the many partners involved! The European Union works with communities through our longstanding ENPARD programme to better rural lives by improving agriculture and rural development opportunities and practices. With the creation of the Tsalka Local Action Group, we have worked hand-in-hand with farmers to increase their yields, with entrepreneurs to get their business off the ground, and with other local actors to bring ideas to fruition for the benefit of local communities. Building on our joint success, I hope that the LAG will continue their excellent work in Tsalka and serve as a good example for other communities across Georgia!’



## NANA JANASHIA

### Executive Director, CENN



Tsalka is one of those municipalities that are not only less known but at the same time exhibits great potential. Located in the Kvemo Kartli region of Georgia, Tsalka boasts a unique blend of cultural, natural, and historical features. One of the most fascinating aspects of Tsalka is its diverse cultural makeup. The municipality is home to several ethnic groups, including Georgians, Azerbaijanis, and Armenians, the combination of which creates a unique blend of traditions, languages, and customs.

The stunning natural beauty of Tsalka draws in visitors from all over the world. In addition to its natural beauty, Tsalka has a rich history and is home to several historical monuments. Overall, Tsalka is a fascinating district that offers a unique blend of cultural diversity, natural beauty, historical significance, and delicious cuisine.

Our project EMBRACE Tsalka was aimed at both showcasing the area’s potential and engaging the municipality in the processes of national development. The EMBRACE Tsalka project successfully promoted inclusive rural growth and improved the well-being of rural communities through the implementation of innovative approaches that generated diverse employment opportunities, promoted climate-smart practices, developed integrated natural resource management, and protected the environment.

CENN is pleased to have supported environmentally friendly and climate-resilient actions in Tsalka, resulting in the successful establishment and strengthening of over 50 thriving local businesses and entrepreneurs.

Over the span of four years, we met many interesting, inspiring individuals and with this catalogue we would like to present the various businesses and projects that they initiated.



# ტურიზმი

## TOURISM

წალკის მუნიციპალიტეტი საქართველოში ერთ-ერთი მიმზიდველი და განვითარებადი ტურისტული რეგიონია. მას, ფიზიკურ-გეოგრაფიული და ისტორიული ღირებულებებიდან გამომდინარე, ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტი ტურისტი სტუმრობს.

მუნიციპლიტეტში ტურიზმი აქტიურად ვითარდება და ადგილობრივი მოსახლეობა სტუმრებს ეკომეგობრულ სასტუმროებს, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, საინტერესო ტურებსა და სხვადასხვა გამოცდილებაზე დაფუძნებულ მომსახურებას სთავაზობს.

ადგილობრივი კულტურის, ბუნებრივი ხედების, ისტორიული ძეგლებისა და მრავალფეროვანი ბუნების გარდა, ტურისტები გაეცნობიან ციკლოპურ ნასახლარებს, ციხესიმაგრეების ნანგრევებს, გამოქვაბულებს, პეტროგლიფებს, მონოლითურ ქვებს, ზეთსახდელების გელაზის ქვებს, გვიანი თუ ადრე შუა საუკუნეების ეკლესიებს, შუა საუკუნეების ხიდებს, ნასოფლარებს, სამარხებსა და ყორღანებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აგრეთვე ბარეთის ტბა, რომელიც დაცულ ტერიტორიად განიხილება.

წალკაში ჩვენამდე შემორჩენილია ძველი დროის ბევრი ისტორიული საგანძური, რაც მიმზიდველს ხდის რეგიონს და ყოველწლიურად ზრდის მუნიციპალიტეტისსტუმრებისრაოდენობას.ამჟამადტურიზმისგანვითარება განსაკუთრებულ პრიორიტეტად ითვლება მუნიციპალიტეტისთვის.

The municipality of Tsalka is one of the most attractive and up and coming tourist regions in Georgia. Due to its landscape and historical significance, more and more tourists visit Tsalka every year.

Tourism is actively developing in the municipality and the local population offers guests eco-friendly hotels, agricultural products, tours, and various other services.

In addition to the local culture, beautiful landscapes, historical monuments, and diverse nature, tourists will encounter cyclopean settlements, ruins of fortresses, caves, petroglyphs, monolithic stones, stone oil presses, churches from the Late and Early Middle Ages, mediaeval bridges, old settlements, and burials scattered across the territory. Bareti Lake, which is a protected area, is a particularly attractive destination for tourists.

There are many treasures in Tsalka that have survived from ancient times, making the region an attractive tourist destination. Currently, the development of the tourism sector is considered a priority for the municipality.



# ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ HOME+

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | ტურიზმი |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 8,353 € |
| **პროექტის ავტორი** | თემურ მგელაძე |
| **მისამართი** | 25 მარტის ქუჩა #57ა, ქალაქი წალკა |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 3 |

თემურ მგელაძე დაშბაშის კანიონის მიმდებარედ საოჯახო სასტუმროს ხელმძღვანელობს. სასტუმრო წალკის მუნიციპალიტეტში ტურისტებს სასიამოვნო გარემოს, ხელსაყრელ ფასებსა და სხვადასხვა სერვისს სთავაზობს. ღამისთევასთან ერთად, ვიზიტორებს გიდის მომსახურების, დახვედრა-გაცილებისა და სხვა ტურისტული სერვისების მიღების შესაძლებლობა აქვთ.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში თემურ მგელაძემ შეძლო სასტუმროს გარემონტება და ახალი ავეჯისა და ტექნიკის შეძენა. გარდა ამისა, მიღებული დაფინანსებით მომზადდა მარკეტინგული მასალები, რაც დაეხმარა ბიზნესს, დაკავშირებოდა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მოგზაურებს.

# **HOTEL** HOME+

| | |
|---|---|
| **Sector** | Tourism |
| **EU funding** | 8,353 € |
| **Beneficiary** | Temur Mgeladze |
| **Location** | 57a, 25 March St., Tsalka |
| **Number of employees** | 3 |

Temur Mgeladze manages a hotel located in the vicinity of Dashbashi Canyon. The hotel offers tourists a pleasant environment, affordable prices, and services such as guided tours and pick-up and drop-off services, among others.

As part of the EU funded project, Temur Mgeladze renovated the hotel and purchased new furniture and appliances for the rooms. In addition, the business used these funds to market the hotel to local and international travellers.











# საოჯახო სასტუმრო „მაია“

| | |
|---|---|
| საქმიანობის სფერო | ტურიზმი |
| მიღებული დაფინანსების ოდენობა | 8,353 € |
| პროექტის ავტორი | მარია მკრტიჩიან |
| მისამართი | სოფ. დაშბაში, წალკის მუნიციპალიტეტი |
| დასაქმებულთა რაოდენობა | 4 |

წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ დაშბაშს ხშირად სტუმრობენ ტურისტები და სასტუმროზე მოთხოვნაც საკმაოდ მაღალია.

მარია მკრტიჩიანმა ევროკავშირის პროექტის ფარგლებში მიღებული დაფინანსე-ბით დაშბაშში ეკომეგობრული ხის კოტეჯები ააშენა. დღეის მდგომარეობით, მარიამს შეუძლია, ერთდროულად 10 სტუმარს უმასპინძლოს.

პროექტის შედეგად ადგილზე მოეწყო ეზო, საპიკნიკე და გასართობი სივრცეები, რაც განსაკუთრებულ მყუდროებას სძენს ობიექტს. საოჯახო სასტუმროს ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, აქ მოსულ სტუმარს შეუძლია, მოკლე მანძილზე თავად დაგეგმოს ლაშქრობები და ისიამოვნოს წალკის პეიზაჟებით.

# **HOTEL** MAIA

| | |
|---|---|
| **Sector** | Tourism |
| **EU funding** | 8,353 € |
| **Beneficiary** | Maria Mkrtichyan |
| **Location** | Dashbashi, Tsalka municipality |
| **Number of employees** | 4 |

The village of Dashbashi in Tsalka municipality is a popular destination for tourists and accommodation is in high demand.

Maria Mkrtichyan has built an additional eco-friendly wooden cabin with the support of the project. Currently, the cabins can accommodate 10 guests at once. As a result of the project, Maria arranged the yard and created both a picnic area and recreational spaces, which were an important addition that helped to make the space particularly cosy.

Owing to the location of the hotel, visitors can enjoy short hikes with beautiful views.










# რესტორანი „პონტია“

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | გასტრონომია / ტურიზმი |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 29,013 € |
| **პროექტის ავტორი** | ელენა ჩამურლიდი |
| **მისამართი** | მ. კოსტავას ქ. #71, ქ. წალკა |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 6 |

ჩამურლიდების ოჯახი წლებია, გემრიელი კერძებით უმასპინძლდება ადგილობრივ მოსახლეობასა და უცხოელ სტუმრებს.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ელენა ჩამურლიდმა განაახლა რესტორნის გარე და შიდა სივრცეები. გარდა ამისა, შეიძინა ახალი, კომფორტული ავეჯი და სამზარეულოს ინვენტარი.

შედეგად, რესტორანი მომხმარებლების თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობს და ბიზნესის გაფართოებასთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასაც უწყობს ხელს.

# PONTIA **RESTAURANT**

| | |
|---|---|
| **Sector** | Gastronomy / Tourism |
| **EU funding** | 29,013 € |
| **Beneficiary** | Elena Chamurlidi |
| **Location** | 71 M. Kostava st., Tsalka |
| **Number of employees** | 6 |

The Chamurlidi family has been welcoming locals and international guests with delicious food for many years.

After receiving funding from the EU, Elena Chamurlidi renovated both the indoor and outdoor spaces of their restaurant. In addition, the business purchased new, comfortable furniture and upgraded their kitchen appliances.

As a result, the business is now able to satisfy the modern demands of customers and the expansion of the business supports local employment










პონტია
რესტორანი
póntia





# ᲙᲝᲢᲔᲯᲘ „ᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ“ ᲓᲐᲨᲑᲐᲨᲘ

| | |
|---|---|
| საქმიანობის სფერო | ტურიზმი |
| მიღებული დაფინანსების ოდენობა | 8,353 € |
| პროექტის ავტორი | ლეილა აივაზიან |
| მისამართი | სოფ. დაშბაში, წალკის მუნიციპალიტეტი |
| დასაქმებულთა რაოდენობა | 7 |

წალკის მუნიციპალიტეტში ლეილა აივაზიანის საოჯახო სარესტორნო საქმიანობა 3 წლის წინ დაიწყო. დროთა განმავლობაში მისი ბიზნესი განვითარდა და საბოლოოდ ის ადგილობრივ და უცხოელ სტუმრებს ყველა სეზონზე მასპინძლობს.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით ლეილამ შეძლო სასტუმრო კოტეჯის აშენება. პროექტის შედეგად გაიწმინდა ტერიტორია, მოეწყო ბილიკი და კოტეჯი აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით - განთავსდა ავეჯი, ტექნიკა და გაიმართა კომუნიკაციები.

ღამისთევასთან ერთად, ლეილასთან მოსულ სტუმრებს ადგილზე საოჯახო რესტორანში მომზადებული, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით დამზადებული საუზმე, ლანჩი და ვახშამიც ხვდებათ.

# PANORAMA **COTTAGE IN DASHBASHI**

| | |
|---|---|
| **Sector** | Tourism |
| **EU funding** | 8,353 € |
| **Beneficiary** | Leila Avasyan |
| **Location** | Dashbashi, Tsalka municipality |
| **Number of employees** | 7 |

Leila Avasyan began operating a restaurant three years ago. Over time, the business evolved into a hotel and hosts guests during all seasons.

With support from the EU project, Leila built a cottage-style hotel. The project included preparing the territory, clearing the footpaths, and building the cottage with durable materials that allow the hotel to operate during all seasons.

In addition to providing accommodation, the guests visiting Leila’s hotel can also enjoy breakfast, lunch, and dinner prepared with natural products at the hotel restaurant.











# 9 აპრილის სახელობის მემორიალური პარკის რეაბილიტაცია ქალაქ წალკაში

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | ინფრასტრუქტურა / ტურიზმი |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 16,465 € |
| **პროექტის ავტორი** | წალკის მუნიციპალიტეტის მერია |
| **მისამართი** | კლდეკარის ქ #1, ქალაქი წალკა |

ქალაქ წალკაში მდებარე 9 აპრილის სახელობის მემორიალური პარკი წლების განმავლობაში რეაბილიტაციას საჭიროებდა. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ დაზიანებული პარკი განაახლა და დამატებითი ფუნქციები მიანიჭა.

პარკში აღდგა ამორტიზებული ნაწილები, განახლდა დეკორატიული კედელი და ჭიშკარი. პარკი გამწვანდა და ხელმისაწვდომი გახდა შშმ პირებისთვისაც. პროექტის განხორციელების შემდეგ პარკით სარგებლობა შეეძლება ქალაქ წალკაში მცხოვრებ 3,000-ზე მეტ ბენეფიციარს, ასევე - ქართველ და უცხოელ ვიზიტორებს, რომელთა რიცხვი დაახლოებით 20,000-ია.

# **REHABILITATION OF THE** 9TH OF APRIL MEMORIAL PARK **IN TSALKA**

| | |
|---|---|
| **Sector** | Infrastructure / Tourism |
| **EU funding** | 16,465 € |
| **Beneficiary** | Mayor’s Office of Tsalka municipality |
| **Location** | 1 Kldekari St., Tsalka |

The 9th of April Memorial Park has been in need of rehabilitation for years. With support of EU Funded project, the local self-government rehabilitated the park and accorded it additional functions.

The damaged sections were restored in the park, renovations were carried out, entrance gates were installed, and trees were planted. Part of the reconstruction was also carried out to make it wheelchair-accessible. As a result of the project, the park will be available to 3,000 local residents and visitors, the number of which, based on the statistics, can reach up to 20,000 people each year.



# საოჯახო სასტუმრო „კლდეკარი“

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | აგრო-ტურიზმი |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 24,238 € |
| **პროექტის ავტორი** | გვანცა ფირცხელიანი |
| **მისამართი** | სოფ. ბარეთი, წალკის მუნიციპალიტეტი |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 4 |

გვანცა ფირცხელიანმა წალკის რაიონში საოჯახო ტიპის სასტუმრო ააშენა და აგროტურისტული მეურნეობა მოაწყო.

ევროკავშირის დაფინანსებით სამეურნეო დანიშნულების შენობა გადაკეთდა სასტუმროდ. მოეწყო დარბაზი, მანსარდა, აშენდა და გადაკეთდა სასტუმროსთვის საჭირო ოთახები, მოწესრიგდა ღობეები, გაშენდა ფანჩატური და ბაღ-ბოსტანი.

ზაფხულის თვეებში ტურისტებს სათევზაოდ ან სალაშქროდ წასვლის შესაძლებ-ლობა მიეცათ. ბუნებაში ღამისთევით დაინტერესებულთათვის მოეწყო საველე გასვლები. აგროტურიზმით დაინტერესებულ ჯგუფებს კი შეუძლიათ, სეზონური საქმიანობიდან გამომდინარე ესტუმრონ სასტუმროს და გაეცნონ მათ ყოველ-დღიურ საქმიანობას.

# **GUESTHOUSE** KLDEKARI

| | |
|---|---|
| **Sector** | Agro-tourism |
| **EU funding** | 24,238 € |
| **Beneficiary** | Gvantsa Pirtskheliani |
| **Location** | Bareti, Tsalka municipality |
| **Number of employees** | 4 |

Gvantsa Pirtskhelia built a guesthouse and created a service for agro-tourism.

As a result of the EU funded project, an existing building was rebuilt and made into a hotel. The project included arranging and renovating a hall and an attic space. In addition, accessories were purchased for the kitchen, the dining hall, and the bedrooms. Fences were also installed, a patio space was built, and a vegetable garden was created.

The Guesthouse Kldekari offers visitors the chance to take part in fishing and hiking during the summer season.  For those who are interested, the hotel also offers overnight stays in nature. In addition, guests can take part in the agricultural activities of different seasons.



# ეთნოსახლი „ბარეთი“

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | ტურიზმი |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 52,854 € |
| **პროექტის ავტორი** | ნონა მამნიაშვილი |
| **მისამართი** | სოფ. ბარეთი, წალკის მუნიციპალიტეტი |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 6 |

ნონა მამნიაშვილს 20 წელზე მეტი გამოცდილება აქვს საოჯახო სასტუმროსა და რესტორნის მართვაში. მისი პროექტი მოიცავდა სოფელ ბარეთში საოჯახო სასტუმროს მოწყობას ეთნოკომპონენტების გათვალისწინებით. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით სასტუმრო გარემონტდა თანამედროვე პირობების დაკმაყოფილებით და დაემატა ავეჯი, სამზარეულო ინვენტარი და ტექნიკა.

გარდა ამისა, ბიზნესმა ადგილობრივ თუ უცხოელ ტურისტებს შესთავაზა სხვა დამატებითი ტურისტული სერვისები: ადგილობრივი პროდუქციის დამზადების ან მოყვანის საჩვენებელი ტური, ცხენებით ჯირითი სხვადასხვა ლოკაციაზე, ტრადიციული კერძების დამზადება და მასში ტურისტთა მონაწილეობა. შედეგად დასაქმდა 6 ადგილობრივი.

# **ETHNO HOUSE** BARETI

| | |
|---|---|
| **Sector** | Tourism |
| **EU funding** | 52,854 € |
| **Beneficiary** | Nona Mamniashvili |
| **Location** | Bareti, Tsalka municipality |
| **Number of employees** | 6 |

Nona Mamniashvili has over 20 years of experience in hotel and restaurant management. With support from the EU project, she established a hotel in Bareti village with ethnographic elements incorporated. The hotel was renovated to meet modern requirements, and equipped with new furniture and appliances.

In addition, the business was able to offer additional services to tourists, such as tours that illustrate how to cultivate local products and the preparation of local dishes, and include horse riding. The business has employed an additional 6 employees.



# ᲒᲚᲐᲛᲙᲝᲢᲔᲯᲘ „ᲬᲐᲚᲙᲐ“

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | ტურიზმი |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 54,784 € |
| **პროექტის ავტორი** | ბექა გვიჩიანი |
| **მისამართი** | კლდეკარის ქ. #5, ქ. წალკა |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 4 |

ბექა გვიჩიანი 2010 წლიდანაა ჩართული მცირე და საშუალო ბიზნესსაქმიანობაში. მისი გამოცდილება მოიცავს სარესტორნო ბიზნესსაქმიანობასა და სოფლის მეურნეობის მიმართულებებს. ტურიზმის კუთხით მან 3 წელი იმუშავა მერიაში, მან ამ პერიოდში დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით შეიმუშავა წალკის ტურიზმის განვითარების სტრატეგია.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით ბექამ ორი ეკომეგობრული ხის კოტეჯი ააშენა, რომლებსაც ერთდროულად ორი ოჯახის მასპინძლობა შეუძლიათ. კოტეჯებს დაემატა ღია ტერასული ტიპის აივანი, ადგილზე გაშენდა სხვადასხვა სახეობის მცენარე, მოეწყო საბავშვო სივრცე და საპიკნიკე ადგილები. კოტეჯები მომხმარებლებს მთელი წლის მანძილზე იღებს.

# **GLAM COTTAGE** TSALKA

| | |
|---|---|
| **Sector** | Tourism |
| **EU funding** | 54,784 € |
| **Beneficiary** | Beka Gvichiani |
| **Location** | 5 Kldekari st., Tsalka |
| **Number of employees** | 4 |

Beka Gvichiani has been involved in small and medium size businesses since 2010. He has a wide variety of experience, ranging from the hospitality industry to agriculture. As part of his position at city hall, Beka Gvichiani has worked on tourism development strategies.

With EU support, Beka was able to build two different types of wooden cottages that can accommodate one or two families. An open terrace and a sauna were added to the cottages. A variety of plant species were installed on the territory, a playground for children was constructed, and a picnic space was also set up. The cottages host visitors all year round.



# „დაშბაში გლემპინგი“

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | ტურიზმი |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 18,685 € |
| **პროექტის ავტორი** | დავით ნიკოლაძე |
| **მისამართი** | დაშბაშის კანიონის მიმდებარე ტერიტორია, წალკის მუნიციპალიტეტი |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 6 |

დავით ნიკოლაძე 2018 წლიდან ჩართულია ტურისტულ საქმიანობაში და ემსახურე-ბა ადგილობრივ და უცხოელ ტურისტებს როგორც მძღოლ-გიდი. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მან დაშბაშის კანიონის მახლობლად გლამურული კემპინგის მოყვარულთათვის კომფორტული სივრცე შექმნა.

დავითმა მოაწყო სასტუმროს ტიპის ორი გლამპინგი და მოაწესრიგა ეზო. ინოვაციურ სასტუმროს აქვს გამჭვირვალე ტენტი, გუმბათოვანი ფორმა და კომფორტული აივანი, რომელიც კანიონს გადაჰყურებს.

გლემპინგის სერვისის შეთავაზებასთან ერთად, დავითი ტურისტებს ქართული სამზარეულოს დაგემოვნებასაც სთავაზობს. გარდა ამისა, ნებისმიერ დამსვენებელს შესაძლებლობა აქვს, ისარგებლოს გიდის მომსახურებით.

# DASHBASHI GLAMPING

| | |
|---|---|
| **Sector** | Tourism |
| **EU funding** | 18,685 € |
| **Beneficiary** | Davit Nikoladze |
| **Location** | Dashbashi Canyon, Tsalka municipality |
| **Number of employees** | 6 |

Davit has been working in tourism as a guide since 2018. After becoming involved in the EU project, Davit built comfortable spaces for those who enjoy “glamorous camping” (glamping).

Two glamping constructions were set up near the Dashbashi Canyon, both of which included yards. This innovative accommodation includes a see-through tent and a comfortable balcony that overlooks the canyon.

In addition to offering guests glamping experiences, Davit also provides guided tours and a chance to taste local cuisine.



# „ოცნების ბურთები“

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | ტურიზმი |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 11,896 € |
| **პროექტის ავტორი** | ნიკა ძირკვაძე |
| **მისამართი** | წალკა |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 6 |

ნიკა ძირკვაძე და გელა კახაძე წალკის რაიონში წლებია, ტურიზმის მიმართულებით საქმიანობენ. მათ შექმნეს ტურისტებისთვის საინტერესო სივრცე, სახელად “ოცნების ბურთები”. სივრცეში დამსვენებლებს შესაძლებლობა აქვთ, კანიონის მიმდებარედ დაისვენონ და დატკბნენ მისი პეიზაჟებით.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით ნიკამ და გელამ კანიონის მახლობლად პირველ ეტაპზე სამი გამჭვირვალე ბურთი-კარავი ჩადგეს. ერთი ბურთის დიამეტრი ექვსი მეტრია, კარავი წყალგაუმტარი და ცეცხლგამძლეა. პროექტის ფარგლებში მოწესრიგდა კარვების ინტერიერი, მოწესრიგდა ელექტროენერგიის მოხმარება. ბიზნესმა დამატებითი მომსახურებაც შესთავაზა ტურისტებს, კერძოდ, მინი ღია კინოთეატრი, სადაც დამსვენებლებს შეუძლიათ, დაშბაშის კანიონის მიმდებარედ, ბუნებაში გამართონ კინოჩვენებები.

# BUBBLE GLAMPING DREAM SPHERES

| | |
|---|---|
| **Sector** | Tourism |
| **EU funding** | 11,896 € |
| **Beneficiary** | Nika Dzirkvadze |
| **Location** | Tsalka |
| **Number of employees** | 6 |

Nika Dzirkvadze and Gela Kakhadze have many years of experience in tourism in Tsalka. They created a unique space for tourists called Dream Spheres (Bubble Glamping). This form of accommodation allows visitors to stay near the canyon and enjoy the surrounding views.

Through EU funding, these business partners initially installed three see-through bubble glamping tents. The diameter of each tent is six metres, and the tents are water and fireproof.

The interiors of the tents were carefully designed and have a supply of electricity. In addition, the space also offers an open cinema theatre with projector screens that allows the visitors to have film screenings.













# საოჯახო სასტუმრო „ლილეო“

| | |
|---|---|
| საქმიანობის სფერო | ტურიზმი |
| მიღებული დაფინანსების ოდენობა | 18,947 € |
| პროექტის ავტორი | ზაირა ხორგუანი |
| მისამართი | გაგარინის ქ. #40, ქალაქი წალკა |
| დასაქმებულთა რაოდენობა | 7 |

ზაირა ხორგუანი 12 წელია, სოფელ ტბეთში საოჯახო სასტუმროს მართავს და სტუმარ-მასპინძლობის სფეროში დიდი გამოცდილებით გამოირჩევა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მეწარმემ გააფართოვა საოჯახო ბიზნესი, გაარემონტა სასტუმროს ოთახები და მიაშენა დამატებით სივრცეები. დღეს სასტუმრო წარმოდგენილია 16 საწოლი ადგილით (შვიდი ორკაციანი ნომრით, ორი დიდი სამზარეულოთი და 3 მისაღები ოთახით) და წალკის ვიზიტორების სასიამოვნო დასვენებასა და საქმიანი ვიზიტების გატარებას უზრუნველყოფს.

# **HOTEL** LILEO

| | |
|---|---|
| **Sector** | Tourism |
| **EU funding** | 18,947 € |
| **Beneficiary** | Zaira Khorguani |
| **Location** | 40 Gagarini st., Tsalka |
| **Number of employees** | 7 |

Zaira Khorguani has been managing a family hotel near Dashbashi Canyon for 12 years and has extensive experience in the hospitality sector.

Through the EU funded project, the entrepreneur expanded her businesses, renovated rooms, and built additional spaces. Today, the hotel offers 16 rooms (7 double rooms, 2 large kitchens, and 3 living rooms) and a pleasant environment for visitors staying for both leisure and business.



# კაფე „ანნა“

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | მომსახურება / ტურიზმი |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 26,251 € |
| **პროექტის ავტორი** | ლევან ღვანჩლიანი |
| **მისამართი** | მ. კოსტავას ქ. #50, ქალაქი წალკა |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 8 |

ლევან ღვაჩლიანი ტურისტულ ბიზნესს 2017 წლიდან ოჯახთან ერთად უძღვება. მას დიდი გამოცდილება აქვს სარესტორნო სფეროში.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მან ოჯახური ბიზნესი გააფართოვა - გაარემონტა და მოაწყო შიდა და გარე ინტერიერი, საკვებ ობიექტში დანერგა ჰასპის (HACCP) სტანდარტები და განაახლა მენიუ. დღეს უკვე სტუმარს შეუძლია, ლევანის კაფეში დააგემოვნოს ტკბილეული, ფუნთუშეული, ხაჭაპური, კუბდარი, პიცა, ხინკალი და სხვა ქართული თუ ევროპული სამზარეულოს კერძები.

# **CAFE** ANNA

| | |
|---|---|
| **Sector** | Service / Tourism |
| **EU funding** | 26,251 € |
| **Beneficiary** | Levan Ghvanchliani |
| **Location** | 50 M. Kostava st., Tsalka |
| **Number of employees** | 8 |

Levan Ghvanchlini has been in charge of his business in tourism since 2017. He has a great deal of experience working in hospitality.

With the EU funded project he expand his family business, renovated the indoor and outdoor spaces of the cafe, established HACCP standards, and added more choices to the menu. Today the guests can enjoy a variety of deserts, Khachapuri, Kubdari, Pizza, Khinkali, and other Georgian and European cuisine.










# ტურისტული მომსახურების სააგენტო „აღმოაჩინე წალკა“

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | ტურიზმი |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 12,319 € |
| **პროექტის ავტორი** | დიანა წულუკიძე |
| **მისამართი** | მ. კოსტავას ქ. #34ბ, ქალაქი წალკა |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 4 |

დიანა წულუკიძე აქტიურად არის ჩართული ტურისტულ საქმიანობებში, განსაკუთრებული აქცენტი კი გააკეთა შემომყვან ტურიზმზე. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მან დააფუძნა ტურისტული მომსახურების ობიექტი, შექმნა ტურისტული მარშრუტები (ველო, კვადრო და სამანქანო), რომლებიც შესაბამისად არის მარკირებული და აღრიცხული google-ის პლატფორმაზე.

გარდა ამისა, დიანამ განავითარა მრავალენოვანი ბუკლეტები, დაგეგმა ინდივიდუალური და ჯგუფური მარშრუტები, რომლებიც ვიზიტორებს წალკის ტურისტული პოტენციალისა და ადგილობრივი საინტერესო ბიზნესების აღმოჩენაში ეხმარება.

# TOURISM AGENCY DISCOVER TSALKA

| | |
|---|---|
| **Sector** | Tourism |
| **EU funding** | 12,319 € |
| **Beneficiary** | Diana Tsulukiani |
| **Location** | 34b M. Kostava st., Tsalka |
| **Number of employees** | 4 |

Diana Tsulukiani is actively involved in the tourism industry. She planned and opened a tourist agency with support of the EU project.

As a result, she established tourist paths for bikes and cars. The business was also registered and now appears on google platforms.

In addition, multi-lingual booklets were developed and individual and group tour packages were organised. The agency can now help visitors discover hotels and restaurants. Within the scope project, field trips were organised and information about the potential of Tsalka was made available to international markets.



# ᲑᲐᲠ-ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲘ „ᲢᲔᲠᲐᲡᲐ“

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | გასტრო-ტურზიმი / მომსახურება |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 18,839 € |
| **პროექტის ავტორი** | ამირან კალანდაძე |
| **მისამართი** | მ. კოსტავას ქ. #34, ქალაქი წალკა |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 8 |

ამირან კალანდაძე წლების განმავლობაში მართავდა საოჯახო რესტორანს წალკაში. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მისმა ოჯახმა წალკის მუნიციპალიტეტში ბარ-რესტორანი გახსნა.

შედეგად მოეწყო ნახევრად ღია ტერასა წალკის მუნიციპალიტეტზე ხედით, სივრცეში განთავსდა მაგიდები, ბარი, ტელევიზორი და მუსიკალური ცენტრი. შენობის შიგნით კი აშენდა სამზარეულო და დახურული დარბაზი.

რესტორანს ამჟამად სტუმრობს როგორც ადგილობრივი მოსახლეობა (პედაგოგები, დასაქმებული ადამიანები, ახალგაზრდები, სკოლის მოსწავლეები), ისე ტურისტები. გარდა ამისა, ამირანის ოჯახი  კორპორატიულ შეკვეთებსაც იღებს და სივრცეს დაბადების დღეებისა და სხვადასხვა ღონისძიების აღსანიშნავად აქირავებს.

# **RESTAURANT** TERRACE

| | |
|---|---|
| **Sector** | Gastro-tourism |
| **EU funding** | 18,839 € |
| **Beneficiary** | Amiran Kalandadze |
| **Location** | 34 M. Kostava st., Tsalka |
| **Number of employees** | 8 |

Amiran Kalandadze has been managing his family restaurants for many years. After receiving support from the EU, he opened a bar/restaurant in Tsalka.

Through the project’s financial support he was able to create a partially open terrace that overlooks the town. Tables, a bar, a TV, and a sound system were purchased for the restaurant. In addition, renovations were made to an indoor hall and the kitchen.

Currently, visitors to the restaurant include both locals (teachers, youth, pupils) and tourists. In addition, Amiran’s family also rents the place out for birthday celebrations or other events.



# საოჯახო სასტუმროს კომპლექსი „ედის დაჩა“

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | ტურიზმი |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 18,426 € |
| **პროექტის ავტორი** | ედუარდ მკრტიჩიან |
| **მისამართი** | სოფელი დაშბაში, წალკის მუნიციპალიტეტი |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 7 |

ედუარდ მკრტიჩიანი ტურიზმის სფეროში 16 წლიდან მუშაობს და წალკის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ტურისტებს დაშბაშის კანიონზე ექსკურსიები შესთავაზა. მან სოფელ დაშბაშში კანიონის მიმდებარედ არსებული სახლის რესტავრაცია და საოჯახო სასტუმროდ გადაკეთება დაგეგმა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მეწარმემ შეძლო სასტუმროს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. საოჯახო სასტუმროს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები და დაემატა ახალი ავეჯი, სამზარეულო ინვენტარი და ტექნიკა. ჯამში, დასაქმდა 7 ადგილობრივი მცხოვრები და გაძლიერდნენ სასოფლო-სამეურნეო დარგში მოქმედი ადგილობრივი ბიზნესები.

# **FAMILY HOTEL** EDY’S DACHA

| | |
|---|---|
| **Sector** | Tourism |
| **EU funding** | 18,426 € |
| **Beneficiary** | Eduard Mkrtichyan |
| **Location** | Dashbashi, Tsalka municipality |
| **Number of employees** | 7 |

Eduard Mkrtichyan has been working in the tourism sector since he was 16 years old. He was one of the first people in Tsalka to offer tourists a guided tour to Dashbashi Canyon. As part of the EU project, Eduard built and restored a family hotel near the canyon.

The project supported Eduard in improving the hotel’s infrastructure and with purchasing new furniture, kitchen appliances, and other necessary equipment. As a result, 7 additional people were employed and a new market was created for local producers.













# სოფლის მეურნეობა

## AGRICULTURE

წალკის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის 43.1% არის ჩართული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. 2018 წლის კვლევებით მიღებული ინფორმაცია ხაზს უსვამს მუნიციპალიტეტში აღნიშნული დარგის განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობას.

წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ფლობს ბუნებრივ სათიბ და საძოვარ მიწებს; შინამეურნეობების ნაწილი კი ჩართულია მესაქონლეობაში, მებოსტნეობაში, მეფუტკრეობასა და მემარცვლეობაში.

წალკის მუნიციპალიტეტში სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, განვითარებულია რძის პროდუქტების წარმოება. მუნიციპალიტეტში მოქმედი რძის შემგროვებელ-გადამმუშავებელი საწარმოები აქტიურად თანამშრომლობენ თბილისში არსებულ დიდ სუპერმარკეტებთან.

პროექტი „ეს წალკაა“ ემსახურებოდა წალკის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარებასა და მის ხელშეწყობას. ადგილობრივი მეწარმეებისთვის დღეისათვის პრობლემას წარმოადგენს ფინანსების ნაკლებობა და თანამედროვე ტექნიკაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა. პროექტის ფარგლებში ყურადღება დაეთმო სწორედ ამ საკითხებსა და მიმართულებას.

43.1% of Tsalka's population is involved in the agriculture sector. According to research conducted in 2018, improvements to Tsalka's agriculture sector are crucial for local economic development.

Tsalka's natural resources include rich pastoral lands. The majority of the households in the region are involved in livestock farming, horticulture, beekeeping, and grain production.

Dairy production in Tsalka is considerably advanced in comparison to other municipalities. The existing milk producing and processing enterprises are actively cooperating with large supermarket chains in Tbilisi.

The Embrace Tsalka project supports agriculture development in the municipality. Today, the biggest challenge for local producers is a lack of access to funding and modern technology. Therefore, the project focused on these aspects specifically.



# სასათბურე მეურნეობა

| | |
|---|---|
| საქმიანობის სფერო | სოფლის მეურნეობა |
| მიღებული დაფინანსების ოდენობა | 4,499 € |
| პროექტის ავტორი | დათო მარკოიძე |
| მისამართი | სოფ. განთიადი, წალკის მუნიციპალიტეტი |
| დასაქმებულთა რაოდენობა | 4 |

დათო მარკოიძე სოფელ განთიადში უკვე მრავალი წელია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა. მან წალკის მუნიციპალიტეტში ააშენა სათბური, რომელიც მომხმარებელს ბროკოლის, კომბოსტოს, პომიდვრისა და კიტრის ჩითილებს სთავაზობს. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მან წარმოება 90%-ით გაზარდა.

გარდა ამისა, პროექტმა სოფლად ახალი შესაძლებლობები გააჩინა - სათბურის გამართვის შემდეგ სოფელ განთიადში მცხოვრები ფერმერები აღარ არიან დამოკიდებული სხვა რეგიონებზე; ისინი ადგილობრივად იძენენ მაღალი ხარისხის ჩითილებს.

# GREENHOUSE FARMING

| | |
|---|---|
| **Sector** | Agriculture |
| **EU funding** | 4,499 € |
| **Beneficiary** | Dato Markoidze |
| **Location** | Gantiadi, Tsalka municipality |
| **Number of employees** | 4 |

Dato Markoidze has been working with agriculture in Gantiadi for many years and possesses an extensive knowledge of the field. As part of the project, he built a greenhouse for the production of broccoli, cabbage, tomatoes, and cucumber seedlings. With EU support, he was able to increase his production by 90%.

As a result, the business offers new opportunities to local farmers to source quality seedlings locally, which up until now has not been available in the region.




# აგრო მომსახურება

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | სასოფლო-სამეურნეო მომსახურება |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 2,319 € |
| **პროექტის ავტორი** | რევაზ დავლაძე |
| **მისამართი** | სოფ. განთიადი, წალკის მუნიციპალიტეტი |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 3 |

რევაზ დავლაძე ადრეული ასაკიდან აქტიურად არის ჩართული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. ბოლო 12 წლის განმავლობაში იგი მომსახურებას უწევდა ადგილობრივ ფერმერებს და უზრუნველყოფდა მათ საჭირო ტექნიკით.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მან შეძლო საკუთარი საქმიანობის გაფართოება, შეიძინა ფრეზი, რითიც იგი ფერმერებს მიწის დამუშავებას სთავაზობს. რევაზმა მომსახურება ახლომდებარე სოფლებსაც შესთავაზა, რითიც საგრძნობლად გაიზარდა ახალი მომხმარებლების რიცხვი.

# AGRICULTURE SERVICES

| | |
|---|---|
| **Sector** | Agriculture Services |
| **EU funding** | 2,319 € |
| **Beneficiary** | Revaz Davladze |
| **Location** | Gantiadi, Tsalka Municipality |
| **Number of employees** | 3 |

Revaz Davladze has been involved in agriculture from an early age. Over the last 12 years, he has come to possess equipment with which he offers services to local farmers.

As a result of the funding from the EU, he expanded his scope of work. He purchased a tractor truss that he uses to help other farmers to cultivate their land. The technology has increased the number of his customers and the services he offers were also expanded. He is now able to  provide services to additional villages.



# „თანამედროვე სოფელი“

| | |
|---|---|
| საქმიანობის სფერო | სოფლის მეურნეობა |
| მიღებული დაფინანსების ოდენობა | 12,530 € |
| პროექტის ავტორი | ირაკლი სუბელიანი |
| მისამართი | სოფ. ახალშენი, წალკის მუნიციპალიტეტი |
| დასაქმებულთა რაოდენობა | 4 |

უკვე წლებია, რაც სუბელიანები სოფლის მეურნეობით არიან დაკავებული - მოჰყავთ კარტოფილი, თივა, ერთწლიანი მარცვლოვანი კულტურები, რაც საქონლის საკვებად გამოიყენება, ეწევიან მესაქონლეობას. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მათ შეიძინეს ახალი დანადგარები და განავითარეს ოჯახური ბიზნესსაქმიანობა.

შეძენილი დანადგარით თივის დაპრესვის (დატუკება) პროცესი ავტომატიზებული გახდა, რამაც საგრძნობლად გაზარდა წარმოების ეფექტიანობა. მეწარმეები ახალ ტექნიკას საკუთარი ფერმის საკვებწარმოებისთვისაც იყენებენ და სხვებსაც უწევენ მომსახურებას.

# CONTEMPORARY VILLAGE

| | |
|---|---|
| **Sector** | Agriculture |
| **EU funding** | 12,530 € |
| **Beneficiary** | Irakli Subeliani |
| **Location** | Akhalsheni, Tsalka Municipality |
| **Number of employees** | 4 |

The Subeliani family has been engaged in agriculture for many years - they grow potatoes, produce hay and one-year grain crops that are used as fodder for cattle, and farm livestock. With EU funding, the family bought machinery that loads hay automatically.

Switching to automated hay stacking process significantly increased the effectiveness and productivity of the farm. The producers use this new technology not only to produce fodder for their own farms, but also offer this service to other farmers.



# სარწყავი სისტემა სოფელ გუმბათში

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | სასოფლო-სამეურნეო მომსახურება |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 1,627 € |
| **პროექტის ავტორი** | ზურაბ ძირკვაძე |
| **მისამართი** | სოფ. გუმბათი, წალკის მუნიციპალიტეტი |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 4 |

ზურაბ ძირკვაძე წლებია, რაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მან შეიძინა სარწყავი სისტემები, რითიც ის მომხმარებლებს მიწის მორწყვას სთავაზობს.

ზაფხულში, გვალვიან პერიოდში, ფერმერებისთვის სახნავ-სათესი სავარგულების მოსარწყავად მობილური სარწყავი სისტემის ქირაობა კომფორტული და ხარჯეფექტიანია. ეს პროცესი, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ფერმერების მოსავლიანობის შენარჩუნებას, ხოლო, მეორე მხრივ, ნერგავს კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მიდგომებს.

პროექტის ფარგლებში მან შეძლო სამი ადგილობრივის დასაქმება და ბიზნესის გაფართოება. სარწყავი სისტემის არსებობამ მოსახლეობას მოსავლის გაზრდის საშუალება მისცა, რამაც დადებითად იმოქმედა ადგილობრივთა შემოსავალზე.

# IRRIGATION SYSTEM IN GUMBATI VILLAGE

| | |
|---|---|
| **Sector** | Agriculture Services |
| **EU funding** | 1,627 € |
| **Beneficiary** | Zurab Dzirkvadze |
| **Location** | Gumbati, Tsalka municipality |
| **Number of employees** | 4 |

Zurab Dzirkvadze has many years of experience in agriculture. With the financing received from the EU, he purchased a drip irrigation system that he is able to rent to new customers.

In summer, during the drought periods, it is convenient and cost-effective for farmers to rent a mobile irrigation system to water their crops. This process on the one hand helps farmers maintain their yields and on the other helps establish climate-smart agricultural practices.

As a result, Zurab has expanded his services and employed an additional 3 employees. The service helps local farmers to both improve their production and increase their income.



# კარტოფილის წარმოება - შპს „ენდო“

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | სოფლის მეურნეობა |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 56,922 € |
| **პროექტის ავტორი** | ენდრიკ სტეფანიანი |
| **მისამართი** | სოფ. გუმბათი, წალკის მუნიციპალიტეტი |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 30 |

ენდრიკ სტეფანიანი მრავალი წელია, რაც წალკაში მეკარტოფილეობას ეწევა. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მან კარტოფილის წარმოების მდგრადი ჯაჭვი შექმნა, ააშენა და მოაწყო საწყობი და შეიძინა სათესლე კარტოფილი და დახარისხების ხაზი.

ამ განვითარებამ ადგილობრივ ფერმერებს შესაძლებლობა მისცა დაექირავებინათ სასაწყობო სივრცე. გარდა ამისა, დახარისხების ახალმა ხაზმა გაამარტივა პროდუქტის გადარჩევის პროცესი და ხელი შეუწყო მუნიციპალიტეტში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას.

# **POTATO PRODUCTION** ENDO LTD

| | |
|---|---|
| **Sector** | Agriculture |
| **EU funding** | 56,922 € |
| **Beneficiary** | Endrik Stepanyan |
| **Location** | Gumbati, Tsalka municipality |
| **Number of employees** | 30 |

Endrik Stepanyan has been growing potatoes in Tsalka for many years. As a result of his participation in this EU funded project, he has contributed to the creation of a sustainable potato production value chain.

With the EU funding, he built a warehouse and purchased seeds and acquired a potato sorting line.

This development has given local farmers the opportunity to rent warehouse space. In addition, the new sorting line simplified the product selection process, which also required the involvement of human resources, contributing to the creation of additional jobs.



# ყველის საწარმო „სანტა“

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | წარმოება / სოფლის მეურნეობა |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 59,945 € |
| **პროექტის ავტორი** | დარეჯან კანთელაძე |
| **მისამართი** | სოფ. სანტა, წალკის მუნიციპალიტეტი |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 8 |

შპს “სანტა” 1997 წლიდან აწარმოებს ქართული და ევროპული სახეობების ყველს და ამარაგებს მაღალმყიდველობითუნარიან სეგმენტს. დარეჯან კანთელაძე საწარმოს დამფუძნებელი და დირექტორია. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მან ხელოვნური სარწყავი რეზერვუარი შექმნა, რაც მუნიციპალიტეტში სარწყავი წყლის რესურსების მდგრად განაწილებას უწყობს ხელს. განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, რეზერვუარის საშუალებით ის უზრუნველყოფს საძოვრების მორწყვას.

პროექტის შედეგად, 213 ჰექტარ ტერიტორიაზე რეგულაციების დაცვით მოეწყო სარწყავი სისტემა, დაიწყო საქონლისთვის საკვები პროდუქტის დინამიკურად მიწოდება, ასევე ხელი შეეწყო საძოვრებზე ხარისხიანი მცენარეების მოშენებას. შედეგად, საწარმოს საქმიანობამ საძოვრების გაკულტურებას შეუწყო ხელი, გაიზარდა საქონლის რიცხვი, წველადობა და შეიქმნა დამატებით 10-მდე სამუშაო ადგილი.

# **CHEESE ENTERPRISE** SANTA

| | |
|---|---|
| **Sector** | Production / Agriculture |
| **EU funding** | 59,945 € |
| **Beneficiary** | Darejan Kanteladze |
| **Location** | Santa, Tsalka municipality |
| **Number of employees** | 8 |

The cheese enterprise Santa Ltd. has been producing European and Georgian cheese since 1997. Darejan Kanteladze is the founder and director of the enterprise. After receiving funding from the EU, she started the sustainable management of pasture land and installed an irrigation system. Particularly during the summer period, the system keeps the pasture land irrigated by using the water reservoir.

The irrigation system was installed across 213 hectares of land in accordance with regulations. Higher quality plants were placed across the pasture land and the fodder production process became much more dynamic.

As a result, the farmer was able to increase the size of the livestock as well as their productivity, resulting in the creation of an additional 10 jobs.


lakton



İntermilk
Mix



# ჰიდროპონიკის საწარმოო „ახალშენი“

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | სოფლის მეურნეობა |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 10,650 € |
| **პროექტის ავტორი** | ბადრი კვიციანი |
| **მისამართი** | სოფ. ახალშენი, წალკის მუნიციპალიტეტი |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 6 |

ბადრი კვიციანი წალკაში 2001 წლიდან ცხოვრობს და იმ დროიდან მისდევს სოფლის მეურნეობას. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მან წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენში ჰიდროპონიკის საწარმო გახსნა.

რეგიონში ჰიდროპონიკის საწარმოს გახსნა მნიშვნელოვანი ნაბიჯი აღმოჩნდა მესაქონლეობის დარგის კუთხით. გაიზარდა საქონლისთვის ხარისხიანი საკვების მიწოდება, შემცირდა საკვების თვითღირებულება, გაიზარდა ერთ სულზე წველადობა და რძის ხარისხი. აღნიშნული საწარმოს ეფექტიანმა ფუნქციონირებამ დააინტერესა ადგილობრივი ფერმერებიც და დასაქმდა 6 ადგილობრივი.

# HYDROPONIC ENTERPRISE
## AKHALSHENI

| | |
|---|---|
| **Sector** | Agriculture |
| **EU funding** | 10,650 € |
| **Beneficiary** | Badri Kvitsiani |
| **Location** | Akhalsheni, Tsalka municipality |
| **Number of employees** | 6 |

Badri Kvitsiani has been living in Tsalka since 2001 and has been involved in agriculture in Tsalka ever since. His idea to open a hydroponics enterprise in Akhalsheni village received funding from the project.

Establishing a hydroponic enterprise in the region turned out to be an important step for livestock farming. The quality fodder supplied for the cattle increased significantly, the prices dropped, and the milk yield per cow increased, as did the quality of the milk. Due to the effectiveness of the enterprise, local farmers also became interested and an additional 6 local residents were employed.











# მარცვლეული კულტურის გადამუშავება

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | სოფლის მეურნეობა |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 9,917 € |
| **პროექტის ავტორი** | ზვიად დევდარიანი |
| **მისამართი** | სოფ. ბარეთი, წალკის მუნიციპალიტეტი |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 4 |

ზვიად დევდარიანს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს მეცხოველეობის, მეფრინველეობისა და მეფუტკრეობის მიმართულებით. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მან იჯარით აიღო ფერმის შენობა, გაარემონტა და გამართა ტექნიკურად.

ზვიადმა ფერმაში დაამონტაჟა საფქვავ-შემრევი ტექნიკა, რომლითაც იფქვება მარცვლეული, ხდება მწვანე მასის დაქუცმაცება და საკვების ერთმანეთში შერევა. ასევე შესაძლებელია ადგილზე საკვებ-ნედლეულის დასაწყობება.

გარდა ამისა, გამოიკვეთა მდგრადი ჯაჭვი ბიზნესსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის - ზვიადმა მარცვლეულის შესყიდვა ადგილზევე დაიწყო, რითაც ხელი შეუწყო თანამოქალაქეების რესურსების ზრდას. ჯამში, პროექტმა დაასაქმა 4 ადამიანი.

# GRAIN PROCESSING

| | |
|---|---|
| **Sector** | Agriculture |
| **EU funding** | 9,917 € |
| **Beneficiary** | Zviad Devdariani |
| **Location** | Bareti, Tsalka municipality |
| **Number of employees** | 4 |

Zviad Devdariani has many years of experience in livestock and poultry farming and beekeeping. As part of the project he leased and renovated a farm building.

Zviad installed a grinder-mixer that grinds grains, shreds green mass, and mixes food together. The space also encompasses storage for raw materials.

Overall, the project contributed to the establishment of a sustainable value chain that connects the business to local farmers through the purchasing of local grain, thus supporting other businesses in growing their profits. In total, the enterprise has employed 4 people.



# თანამედროვე ფერმერული მეურნეობა

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | სოფლის მეურნეობა |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 32,727 € |
| **პროექტის ავტორი** | ვახტანგ შავაძე |
| **მისამართი** | სოფ. თრიალეთი, წალკის მუნიციპალიტეტი |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 6 |

ვახტანგ შავაძე სოფლის მეურნეობაში უკვე 35 წელია ჩართული და ბოლო 20 წელი ამ საქმიანობას წალკის მუნიციპალიტეტში ეწევა. მას აქვს მსხვილფეხა საქონლის ფერმა და მიწის ნაკვეთი, თუმცა სწრაფი და ეფექტიანი განვითარებისთვის მის მცირე ბიზნესს ხელშეწყობა სჭირდებოდა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მან შეძლო არსებული ფერმის მოდერნიზება - გარემონტდა სივრცე, მოეწყო ჭერის დათბობა, ჩაისვა კარ-ფანჯრები, მოეწყო დაწყურების, გამწოვი  და საწველი სისტემები. ვახტანგმა პროექტის ფარგლებში დაამატა ახალი გამოყვანილი ჯიშის საქონელი და დაიწყო როგორც უშუალოდ რძის, ასევე - ხორცის წარმოება.

# MODERN FARMING

| | |
|---|---|
| **Sector** | Agriculture |
| **EU funding** | 32,727 € |
| **Beneficiary** | Vakhtang Shavadze |
| **Location** | Trialeti, Tsalka municipality |
| **Number of employees** | 6 |

Vakhtang Shavadze has been involved in agriculture for 35 years and for the last 20 years has been based in the Tsalka municipality. He has a cattle farm and a plot of land and his small business needed support to operate more efficiently and develop faster.

With support from the EU, he modernised his farm: this included renovating the space, insulating the roof, installing doors, windows, and drainage and ventilation systems, and purchasing technology for automated milking. Within the scope of the project, Vakhtang was also able to purchase new breeds of cattle and to start producing both milk and meat.







# წარმოება

## PRODUCTION AND MANUFACTURING

წალკის მუნიციპალიტეტში ბიზნესის სექტორი ჯერ კიდევ განვითარებას საჭიროებს. პროექტის ფარგლებში ადგილობრივმა სამოქმედო ჯგუფმა მხარი დაუჭირა რამდენიმე მეწარმეს, რომლებიც აწარმოებენ საკვებ პროდუქციას, მუშაობენ ხესა და სხვა მასალებზე.

მსგავსი წახალისება ზრდის ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ საქმიანობას და უბიძგებს მათ წარმოების დაწყებისა და ბიზნესის შექმნისაკენ.

The business sector in Tsalka municipality is still in a stage of development. The Local Action Group supported secondary industries in the municipality and funded several small and medium manufacturing businesses who are producing food and work with wood and wooden materials.

These types of incentives increase local economic activity and encourage locals to start producing and establishing businesses.



# ᲞᲣᲠᲡᲐᲪᲮᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐ

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | წარმოება |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 12,262 € |
| **პროექტის ავტორი** | სვეტლანა ერგიშევა |
| **მისამართი** | ათენის ქ. #51, ქალაქი წ |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 2 |

სვეტლანა ერგიშევა უკვე 15 წელია, წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას საკუთარი წარმოების პურით ამარაგებს. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მან საწარმოს გაფართოება და ტექნიკური აღჭურვილობის განახლება შეძლო.

მეწარმემ განაახლა ტექნიკური აღჭურვილობა, ღუმელი, ცომის საზელი, თერმობოქსი და სხვ. პროექტის შედეგად გარემონტდა ობიექტი და წარმოების პროცესი უფრო ეფექტიანი გახდა.

სვეტლანა ამჟამად რეგულარულად ამარაგებს პურით ქალაქ წალკის საბავშვო ბაღს, ორ რესტორანს და 5-მდე სხვა ბიზნესობიექტს.

# EXPANSION OF A BAKERY IN TSALKA

| | |
|---|---|
| **Sector** | Production / Manufacturing |
| **EU funding** | 12,262 € |
| **Beneficiary** | Svetlana Ergisheva |
| **Location** | 51 Athens st., Tsalka |
| **Number of employees** | 2 |

Svetlana Ergisheva has been supplying markets and residents of Tsalka municipality with bread for over 15 years. The project provided funding for her to expand her enterprise and update its technical equipment.

With these upgrades, the enterprise significantly improved its productivity. The business has been equipped with new technology, an oven, a dough mixer, and a thermo box, among other items. The space was renovated and the production process became more effective.

Today Svetlana regularly supplies Tsalka Kindergarten, two restaurants, and up to 5 other businesses with bread.











# ᲔᲚᲔᲜᲐᲡ ᲡᲐᲪᲮᲝᲑᲘ

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | წარმოება |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 4,458 € |
| **პროექტის ავტორი** | მზისანა რეზესიძე |
| **მისამართი** | იოანიდის ქ. #32, ქალაქი  წალკა |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 5 |

მზისანა რეზესიძეს საცხობი მრავალი წელია, წალკის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს პურ-ფუნთუშეულის მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს. ტრადიციული ცომეული პროდუქტების გარდა, ის ტკბილეულის ასორტიმენტსაც სთავაზობს თავის მომხმარებლებს.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მან საკუთარი წარმოება გააფართოვა, შეიძინა სამზარეულოს ტექნიკა, საყინულე, ცომის საზელი, მაცივარი, დონატების დასამზადებელი დანადგარი, ყავის აპარატი და სხვ.

გარდა ამისა, მან საცხობს შემატა ჭურჭელი და ავეჯი, განაახლა პროდუქტის ასორტიმენტი და დაამზადა მარკეტინგული მასალები. მცირე ბიზნესმა პროექტში მონაწილეობის შემდეგ, ჯამში, 5 ადგილობრივი დაასაქმა.

# ELENA’S **BAKERY**

| | |
|---|---|
| **Sector** | Production / Manufacturing |
| **EU funding** | 4,458 € |
| **Beneficiary** | Mzisana Rezesidze |
| **Location** | 32 Ioannidis st., Tsalka |
| **Number of employees** | 5 |

Mzisana Rezesidze’s bakery has been offering a wide variety of bread and pastry to the local residents of Tsalka for many years. In addition to traditional pastry products, Mzisana also offers her customers an assortment of confectioneries.

With EU funding she expanded her small business, purchasing modern appliances such as a freezer, a dough mixer, a fridge, a doughnut maker, a coffee machine, and other necessary equipment.

In addition, she also purchased furniture and updated her product range. The project also entailed the development of promotional materials. 5 additional employees were hired as a result of the expansion.







# პურის საცხობი „კოჩალა“

| | |
|---|---|
| საქმიანობის სფერო | წარმოება |
| მიღებული დაფინანსების ოდენობა | 13,685 € |
| პროექტის ავტორი | რამაზ კოჩალიძე |
| მისამართი | მ. კოსტავას ქ. #50, ქალაქი წალკა |
| დასაქმებულთა რაოდენობა | 5 |

რამაზ კოჩალიძე 2007 წლიდან ფურნეში საქმიანობს, მის მეუღლეს კი ტკბილეულის მომზადების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით ოჯახმა შეძლო ქალაქ წალკაში თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების პურის ფურნეს მოწყობა. მან გაარემონტა არსებული სივრცე, შეიძინა ცომის საზელი და საჭრელი აპარატები, ცომის საბრტყელებელი აპარატი, გამათბობელი და ელექტროენერგიის გენერატორი. საწყის ეტაპზე ბიზნესმა განავითარა ე.წ. “ლავაშისა” და მესხური ტრადიციული პურის ცხობის მიმართულებები.

# **BREAD BAKERY** KOCHALA

| | |
|---|---|
| **Sector** | Production / Manufacturing |
| **EU funding** | 13,685 € |
| **Beneficiary** | Ramaz Kochalidze |
| **Location** | 50 M. Kostava st., Tsalka |
| **Number of employees** | 5 |

Ramaz Kochalidze has been working in a bakery since 2007 and his wife has a great deal of experience baking confectioneries from highland Ajara. With the EU funded project, the family established a modern bread bakery that meets international standards. They built and renovated the space, purchased a dough mixer and cutting machines, a heater, and a generator.

At the initial stage, the business developed two types of bread lines, one for lavash and another for Meskhetian style bread.



# სამკერვალო „ნარგო“

| | |
|---|---|
| საქმიანობის სფერო | წარმოება |
| მიღებული დაფინანსების ოდენობა | 4,455 € |
| პროექტის ავტორი | ნარგიზი ვაშაყმაძე |
| მისამართი | ათენის ქ. #55ა, ქალაქი წალკა |
| დასაქმებულთა რაოდენობა | 6 |

ნარგიზ ვაშაყმაძე წალკის მუნიციპალიტეტში სამკერვალო საქმიანობის მიმართულებით პიონერია.  ის მრავალი წელია, რაც წალკაში საწარმოს მართავს, თუმცა შეზღუდული რესურსების გამო ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებას სრულად ვერ ახერხებდა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მას შესაძლებლობა მიეცა, გაეფართოებინა სამკერვალო და აღეჭურვა თანამედროვე დანადგარებით. მიღებული დაფინანსებით საწარმომ შეძლო, დაენერგა ახალი და მოთხოვნადი შეთავაზებები - სპეცფორმები, თეთრეული და სხვა მოთხოვნადი პროდუქცია.

პროექტის დახმარებით წალკის რაიონში განვითარდა არასასოფლოსამეურნეო ტიპის ბიზნესი, რომელშიც ჩართულია 6 ადგილობრივი ქალი. სამკერვალო "ნარგო" რეგიონში ახლა არა მხოლოდ ინდივიდუალურ შეკვეთებს იღებს, არამედ ემსახურება კომპანიებსა და სხვადასხვა დაწესებულებას.

# NARGO **SEWING ENTERPRISE**

| | |
|---|---|
| **Sector** | Production / Manufacturing |
| **EU funding** | 4,455 € |
| **Beneficiary** | Nargizi Vashakmadze |
| **Location** | 55a, Ateni st., Tsalka |
| **Number of employees** | 6 |

Nargiz Vashakmadze is a pioneer in the textile and tailoring industry of Tsalka. She has been managing her enterprise for many years, however, due to limited resources she could not satisfy local demand.

After receiving funding from the EU, she expanded her business and purchased modern equipment. With this new technology she can now offer new services to her customers, including the production of specific designs, sheets, and other products that are in high demand.

As a result, a non agricultural business was developed in Tsalka in which 6 local women are involved. Sewing House Nargo now supplies not only individuals, but also companies.




brother
innov-is





# სამკერვალო „ახალი დიზაინი“

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | წარმოება / მომსახურება |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 2,040 € |
| **პროექტის ავტორი** | მზიური მარკოიძე |
| **მისამართი** | მ. კოსტავას ქ. #65, ქალაქი წალკა |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 2 |

მზიური მარკოიძე 40 წელზე მეტია კერვით არის დაკავებული, 2020 წლიდან კი წალკაში საკუთარ სამკერვალოს ფლობს. მისი წარმოებული პროდუქცია, ძირითადად, ქალისა და მამაკაცის ტანისამოსს მოიცავდა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მეწარმემ შეიძინა ახალი სამკერვალო დანადგარები და ავეჯი. შედეგად, მან მცირე დროში შეძლო, დაემზადებინა მაღალი ხარისხის პროდუქცია. ახლა იგი რეგიონში მოსახლეობას არა მხოლოდ ტანისამოსს, არამედ საოჯახო პროდუქციასაც სთავაზობს.

# NEW DESIGN **SEWING ENTERPRISE**

| | |
|---|---|
| **Sector** | Production / Manufacturing |
| **EU funding** | 2,040 € |
| **Beneficiary** | Mziuri Markoidze |
| **Location** | 65 M. Kostava st., Tsalka |
| **Number of employees** | 2 |

Mziuri Markoidze has been sewing for over 40 years and since 2020 has owned a sewing enterprise in Tsalka. Her products have mainly included men and women’s clothing.

With EU funding the entrepreneur purchased new equipment and furniture. As a result, Mziuri can now prepare high quality products in a much shorter time. They now offer not only clothing, but other household products.









# „ᲙᲝᲛᲤᲝᲠᲢᲘ“ - ᲐᲜᲖᲝᲠᲘᲡ ᲐᲕᲔᲯᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | წარმოება / მომსახურება |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 7,126 € |
| **პროექტის ავტორი** | ანზორ ჯაყელიძე |
| **მისამართი** | სოფ. ავრანლო, წალკის მუნიციპალიტეტი |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 4 |

ანზორ ჯაყელიძემ 2019 წელს დააარსა ავეჯის საწარმო, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მან გააფართოვა სახელოსნო და შეიძინა დამატებით დაზგები.

ანზორის გუნდი დღეს არა მხოლოდ ინდივიდუალურ შეკვეთებზე მუშაობს, არამედ ემსახურება კერძო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ანზორი დაკვეთებზე მუშაობს და მისი მომსახურება, ძირითადად, რესტავრაციას ან ინტერიერის ავეჯის დამზადებას მოიცავს. მისი სახელოსნო უმეტესწილად სამზარეულოსა და საძინებლის ნივთებზე მუშაობს.

# **FURNITURE WORKSHOP** COMFORT

| | |
|---|---|
| **Sector** | Production / Manufacturing |
| **EU funding** | 7,126 € |
| **Beneficiary** | Anzor Jakelidze |
| **Location** | Avranlo, Tsalka municipality |
| **Number of employees** | 4 |

In 2019, Anzor Jakelidze established his own furniture workshop. With the support of the EU he expanded his enterprise and purchased new technology.

Anzor’s team not only receives orders from individuals but also serves companies and organisations by supplying large orders. The enterprise mainly focuses on the restoration and production of interior furniture, specialising in items for the kitchen and bedroom.


makita 2012NB
makita
ON
OFF





# საოჯახო ავეჯის დამზადება

| | |
|---|---|
| საქმიანობის სფერო | წარმოება |
| მიღებული დაფინანსების ოდენობა | 4,054 € |
| პროექტის ავტორი | ლევან დეკანაძე |
| მისამართი | სოფ. ავრანლო, წალკის მუნიციპალიტეტი |
| დასაქმებულთა რაოდენობა | 2 |

ლევან დეკანაძე წალკის მუნიციპალიტეტში წლებია, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ახორციელებს და დამატებით მუშაობს ავეჯის წარმოებასა და დაზიანებული ავეჯის შეკეთებაზე. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მან საქმიანობა გააფართოვა და მოაწყო ახალი სამუშაო სივრცე.

პროექტის შედეგად ლევანმა იჯარით აიღო სივრცე და საქმიანობა სახლიდან სახელოსნოში გადაიტანა, მოიმარაგა სასურველი მასალა და აქტიურად დაიწყო სხვადასხვა ტიპის ავეჯის დამზადება.

ის ახლა სხვადასხვა ტიპის ინტერიერის ნივთებზე მუშაობს, ძირითადად კი საძინებლის ავეჯსა და დეკორატიულ ნივთებს აწარმოებს.

# PRODUCTION OF HOME FURNISHINGS

| | |
|---|---|
| **Sector** | Production / Manufacturing |
| **EU funding** | 4,054 € |
| **Beneficiary** | Levan Dekanadze |
| **Location** | Avranlo, Tsalka municipality |
| **Number of employees** | 2 |

Levan Dekanadze has been working in the agriculture sector in Tsalka municipality for many years and has been repairing and producing furniture on the side. With EU funding he expanded his business and built his work space.

As a result of the project, Levan leased a place and moved his business there, assembled the necessary materials, and started producing various types of home furniture.

He now works on variety of interior pieces, focusing on bedroom furniture and decorative objects.






BOSCH
BOSCH


makita
BOSCH



# „წალკა ყვავილები“

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | წარმოება |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 4,074 € |
| **პროექტის ავტორი** | ჟანარ კალაჩიან |
| **მისამართი** | კალაიჩევის ქ. #61, ქალაქი წალკა |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 4 |

ჟანარ კალაჩიანი 20 წელია, სამოყვარულო დონეზე ზრუნავს ყვავილებზე და მათ გამოყვანაზე მუშაობს. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მან საკუთარი ინიციატივა ბიზნესად აქცია.

პროექტის დახმარებით ჟანარმა ააშენა სათბური და აღჭურვა ის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. სათბურში მოეწყო სპეციალური სარწყავი სისტემა, დამონტაჟდა მზის გამათბობლები, წვეთოვანი სისტემა, ვენტილაცია.

დღეს, „წალკა ყვავილები“ მომხმარებელს მთელი წლის განმავლობაში სთავაზობს მცენარეებისა და ყვავილების მრავალფეროვან არჩევანს.

# TSALKA FLOWERS

| | |
|---|---|
| **Sector** | Production / Manufacturing |
| **EU funding** | 4,074 € |
| **Beneficiary** | Janar Kalachyan |
| **Location** | 61 Kalaichev st., Tsalka |
| **Number of employees** | 4 |

Janar Kalachyan has been growing and breeding flowers as a hobby for 20 years. Through the EU funded project, she managed to transform her hobby into a business.

As a result of EU support, the business built a greenhouse equipped with modern technology. A drip irrigation system, solar panels, and ventilation were installed.

Today, Tsalka Flowers offers its customers a wide variety of plants and flowers year round.









# სანაყინე „ჩერი“

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | წარმოება |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 27,605 € |
| **პროექტის ავტორი** | სოფია სუბელიანი |
| **მისამართი** | არისტოტელეს ქ. #9, ქალაქი წალკა |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 4 |

სოფია სუბელიანმა დედაქალაქში შეისწავლა ნაყინის წარმოების პროცესი და წალკის მუნიციპალიტეტში დააარსა სანაყინე „ჩერი“.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით მან შეიძინა ჩამოსასხმელი ნაყინის დასამზადებლად საჭირო რძის პასტერიზატორი და ნაყინის აპარატი. სოფია სანაყინეს ჯანსაღი რძით ამარაგებს მის მფლობელობაში არსებული სასაქონლო მეურნეობის მეშვეობით.

პროექტის განხორციელების შედეგად მის სანაყინეს დაემატა საკონდიტრო ნაწარმი, ჩამოსასხმელი ყავა, ლუდისა და გამაგრილებელი სასმელების ასორტიმენტი.

# **ICE CREAM PARLOUR** CHERRY

| | |
|---|---|
| **Sector** | Manufacturing |
| **EU funding** | 27,605 € |
| **Beneficiary** | Sofia Subeliani |
| **Location** | 9 Aristotle st., Tsalka |
| **Number of employees** | 4 |

Sofia Subeliani studied the process of making ice cream in Tbilisi and founded the ice cream parlour Cherry in Tsalka.

Through the EU funded project, she purchased a milk pasteurisation machine for soft ice cream and an ice cream machine. Sofia sources fresh, healthy milk through her own farm.

Within the project, the ice cream parlour added new items, including confectionery products, coffee, beer, and a range of cold beverages.



# ᲠᲫᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲐᲡᲮᲛᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲘᲡ ᲛᲘᲜᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | წარმოება / სოფლის მეურნეობა |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 14,892 € |
| **პროექტის ავტორი** | გურამ ჯაყელი |
| **მისამართი** | სოფ. ავრანლო, წალკის მუნიციპალიტეტი |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 4 |

გურამ ჯაყელმა წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ავრანლოში რძის ჩამოსასხმელი ხაზის მინისაწარმო დააარსა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის მეშვეობით გურამმა შემოღობა საწარმოს ტერიტორია და მოაწყო ინტერიერი და ექსტერიერი. საწარმოში ამჟამად ხდება რძის მიღება, დახარისხება, გაფილტვრა, ნორმალიზება, პასტერიზება, გაცივება, ჩამოსხმა, დახუფვა და შენახვა.

პროექტის დახმარებით დასაქმდა 4-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები.

# BOTTLED MILK PRODUCTION LINE

| | |
|---|---|
| **Sector** | Manufacturing |
| **EU funding** | 14,892 € |
| **Beneficiary** | Guram Jakeli |
| **Location** | Avranlo, Tsalka municipality |
| **Number of employees** | 4 |

Guram Jakeli founded a bottled milk production line with support from the EU project in Avranlo village.

Through EU funding, renovation works were carried out for the interior and exterior of the space and the outdoor area was fenced off. The manufacturing process entails the collection, sorting, filtering, normalising, pasteurising, cooling, and bottling of the milk, and the sealing of the bottles.

Over four people were employed within the project.



# ტბეთის წვენი და სიდრი

| | |
|---|---|
| **საქმიანობის სფერო** | წარმოება |
| **მიღებული დაფინანსების ოდენობა** | 6,084 € |
| **პროექტის ავტორი** | ნათელა ბოლქვაძე |
| **მისამართი** | სოფ. ტბეთი, წალკის მუნიციპალიტეტი |
| **დასაქმებულთა რაოდენობა** | 8 |

ნათელა ბოლქვაძე უკვე 25 წელია, ვაშლის წვენს ამზადებს, ფლორენც როშეს, მის ბიზნესპარტნიორს კი ვაშლის სიდრის დამზადების კუთხით 5-წლიანი გამოცდილება აქვს.

